# ტრაგედია უგმიროთ

შეუგნებლად დაერიდა ბავშების სივილს --- გამოვიდა ქოხიდან... გადიარა ეზო... უგზო-უკვლოთ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდენ ნაპერწკალივით: "ჭადი"... "ბავშები"... "ხარი"... ისევ ადგა, ჯერ შარაგზას გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვიღამაც. მობრუნდა.

-- გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწამე, არ მქონდა; აი დღეს ქე მაქ ცოტა, და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო -- იმ პარასკევს უნღა დამიბრუნო.

-- მომეცი! -- მოკლეთ მოუჭრა და ღობეს მიადგა.

-- ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი. მე თვითონ წამოვიღებ...

ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა.

-- რა დაგემართა. კაცო?

-- არაფერი!

-- ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ჩვენკენაც მოიხედავს...

ნელა შემობრუნდა, უხმოთ მოშორდა მოხუც დედაკაცს--- თავის ნათლიას, რომელიც გულში ფიქრობდა: შენი მტერია, ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე... მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს.... რას უშველის, საწყალს, ნახევარი ჯამი?.. ეხ. ღმერთო, ღმერთო!

-- მამა, ფქვილი მოიტანე? --- ახრიალდენ ბავშები.

-- გვაჭმევ?

-- კი, შვილო, კი, ბიჭო, --- ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს.

ბავშებს უთქმელათ მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდენ ცეცხლს, აწყობდენ და ასწორებდენ კეცებს.

მამამ წუთში მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა. ბავშების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება.

-- აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით -- ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშები გაიქცენ.

ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და "გასასინჯათ" ლუკმა პირში ჩაიდვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...

მეორე ლუკმა...

სწვავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშები შემოვარდენ.

-- მომეცი, მამა!..

-- მეც!..

-- გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

-- მამა, მამა!!..

-- მამა, ერთი ლუკმა!

ბავშები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა; იქედანაც

თვალზე ცრემლშემხმარი ბავშები ძაღლებივით კნაოდენ და იძახდენ:
- მამა, გვაჭამე!
ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიმუჭა პირში ბავ-შების მიერ მოტანილი ოხრახუში და წავიდა... გადავიდა ტევრში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემარი.
წამოიწია, დაჯდა.
ბავშების სივილი მოაგონდა...
მე შევჭამე....
ბავშებს არაფერი ვაჭამე...
ღმერთო, რა მომივიდა?..
სირცხვილი!.. ხალხს რაღა უთხრა?!. ვაი თუ დაიხოცენ...
ადგა, მივიდა ბავშებთან...
გადაბელილი ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნნ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გა-ვაღვიძო მაინც! რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!.
უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.
-- მამა!.. -- წყნარათ დაიწყო ბავშმა.
-- რა, შვილო? -- ნაზათ უპასუხა.
-- მთლად შეჭამე?
-- !!
-- მამა, ცოტა იქნება დაგრჩა ---მომეცი... მუცელი მტკივა, არ გაგამხელ...
მამას ზლუქუნი წასკდა.
პატარა ბავშსაც გაეღვიძა "მშია"-"მშიას" ძახილით.
მამა წამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვა-რი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბაწარი ტოტს მაგრათ მია-გა, მარყუეი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გაშინჯა -- კისერზე თუ მომიჭერსო და...
კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა. - ღმერთო! ღმერთო რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა... ვინ მოუვლის დამშეულ ობლებს?!
-- რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხჩო თავი ამ ოჯახქორმა! --- ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა...
1922 წ.